

კომუნიკაციური ნაკადები და მათი როლი ინფორმაციის გადაცემის პროცესში ორგანიზაციული სტრუქტურის შიგნით



მიხეილ მაჩიტძე

დოქტორანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

აღმნიანები ერთმანეთს უზიარებენ აზრს, ცოდნას, გამოცდილებას, თავიანთი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს შესახებ. ეს ყველაფერი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ინფორმაცია, ხოლო თვითონ კომუნიკაცია - როგორც ინფორმაციის გაცვლის პროცესი. ვინაიდან ინფორმაციის გაცვლის პროცესი აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში, კომუნიკაციას ხშირად უწოდებენ თანამედროვე მართვის სისტემების მთავარ დამაკავშირებელ რგოლს. ნებისმიერი მმართველის მთავარი ინსტრუმენტი არის ინფორმაცია, რომელსაც ის ფლობს. მისი საშუალებით იგი ორგანიზებულად მართავს თავის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, ასევე ამაღლებს მოტივაციას თავის თანამშრომლებს შორის. მენეჯერმა ინფორმაციის გადაცემისას, უნდა გამოიყენოს ისეთი კომუნიკაციის არხები, რომ ინფორმაცია მარტივად აღწევდეს ადრესატამდე და იყოს ადვილი აღსაქმელი. თუ კომპანიაში არ არსებობს კომუნიკაციის დალაგებული სისტემა, შეუძლებელია ამ კომპანიის თანამშრომლებმა გუნდური სამუშაო შესარულონ და მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

კომუნიკაციის პროცესში შესაძლებელია გაჩნდეს ხარვეზები, რომელიც დაამახინჯებს ინფორმაციას, გადაცემის დროს. ასეთი პრობლემები ახდენენ უარყოფით გავლენას, როგორც კომუნიკაციის პროცესზე, ასევე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებაზე ან გაცემული ბრძანების შესრულებაზე.

კომუნიკაცია იძლევა საშუალებას მივიღოთ დროული გადაწყვეტილება, უზრუნველყოთ ეფექტური უკუკავშირი, განვახორციელოთ კომპანიის მიზნების ცვლილება და შევითანოთ კორექტირება სამოქმედო პროცედურებში არსებული სიტუაციის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მენეჯერებს და შემსრულებლებსაც უნდა ჰქონდეთ გათვინობიერებული ინფორმაციის გადაცემის ძირითადი ცნებები და მათი გამოყენების გზები.

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს თუ რამდენად აუცილებელია ეფექტური კომუნიკაციური პროცესი ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მისი ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია და განვითარება კომპანიებში. სტატიაში ჩამოყალიბებულია კომუნიკაციის არსი, მისი როლი ორგანიზაციის განვითარებაში, და ეფექტური კომუნიკაციის პროცესის მართვა ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით.